



**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო**
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060185911775216

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. N6; ტელ: 2727200, 2727220, ფაქსი: 2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 2727200, 2727220, Fax: 2727237; www.moe.gov.ge

4245

27 / მაისი / 2016 წ.

ა/ო „მწვანე ალტერნატივა“ს აღმასრულებელს
დირექტორის ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 13 მაისს შემოსული რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საექსპერტო სალიცენზიო საბჭოს 2005 წლის 19 აგვისტოს სხდომის რეკომენდაციისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2005 წლის 6 სექტემბრის N329 ბრძანების საფუძველზე, შპს „Optical Systems Inc“-ზე გაიცა წიაღით სარგებლობის სერია I N0724 ტიპი VIE ლიცენზია მესტიის მუნიციპალიტეტში კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვებაზე 390კმ² ფართობზე. ლიცენზია გაიცა 15 წლის ვადით. აქვე გიგზავნით ლიცენზიასა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლებს (დანართი 1)

ასევე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 21-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, გიგზავნით ლიცენზიის გაცემის მომენტიდან დღემდე სამინისტროში წარდგენილი ლიცენზიის პირობების დაცვის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშების ასლებს.

დანართები (სულ 71 გვერდი): 01 კომპაქტური დისკი.

- წიაღით სარგებლობის ლიცენზია- 14 გვ.
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს სხდომის ოქმი N9- 7 გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2008 წ. - 6 გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2009 წ.- 7 გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2010 წ.-7გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2012 წ.- 7გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2013 წ.- 9 გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2014 წ.-8 გვ.
- უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვება 2015 წ.-6 გვ.

ასევე მოგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, ცხელ ხაზზე (153) შემოსული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო შპს „Optikal Systems Inc“-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 06 სექტემბრის N329 ბრძანებით მესტიის მუნიციპალიტეტში კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული წიაღით სარგებლობის N0724 ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობის შესწავლა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

ამ მიზნით 2016 წლის 11 მაისს განხორციელდა ტერიტორიის დათვალიერება/შესწავლა. ინსპექტირების პროცესს ასევე ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

02-291

წიადით სარგებლობის №0724 ლიცენზიით განსაზღვრულია ლასილ-არშირას, ქვანარ-მალქორაშის, კაკასიონის სამხრეთ ფერდის რეგიონალურ რღვევასთან დაკავშირებული მადანგამოვლინებების და ალუვიური ქვიშრობების შესწავლა-მოპოვება.

როგორც განხორციელებული ინსპექტირებით დადგინდა, სოფ. იელის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანიის მიერ წიადისეულის შესწავლის მიზნით გაყვანილია ღია სამთო გამონამუშევრები-თხრილები, სიღრმით დაახლოებით 2-3 მეტრი. დასინჯვისათვის ასევე გაყვანილია შურფები (ჭაურები).

მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ე.წ. სამრეწველო მოედანი, სადაც განთავსებულია სეპარატორი და ე.წ. გამრეცხი დანადგარი. მოპოვებული ქვიშრობების გარეცხვის მიზნით დათვალირებით ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა. ტერიტორიაზე განთავსებული იყო დიზელის საწვავის ბიდონები.

ამასთან, ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარების მიზნით, კომპანიას მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული აქვს მიმდებარედ არსებული ფიქლების უკანონო სარგებლობა. ასევე გამოვლინდა, რომ არ არის დაცული „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, ტერიტორიაზე არსებული მოზარდი ხე-მცენარეები დაზიანებული და მოთხრილია. ამავე ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურების ფაქტი.

დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა აზომვითი სამუშაოები და შედგა შესაბამისი აქტი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით დეპარტამენტში დაწყებულია შესაბამისი წარმოება და გატარდება კანონმდებლობით განსაზღვრული რეაგირება.

ასევე წარმოგიდგენთ ჩვენ ხელთ არსებულ მასალებს და გაცნობებთ, რომ „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მასალებში დაფარულია ინფორმაცია წიადის გეოლოგიური აგებულების, წიადისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების და პარამეტრების შესახებ.

დანართი: 56 ფურცელი (მატერიალური სახით) და 01 კომპაქტური დისკი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი